N183 2015 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის შექმნის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების საერთაშორისო ცენტრი.

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს საქართველოს მთავრობამ.

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების საერთაშორისო ცენტრი ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განათლების საერთაშორისო ცენტრის (სამსახური) უფლებამონაცვლედ.

მუხლი 4. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უზრუნველყოს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა.

მუხლი 5. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განათლების საერთაშორისო ცენტრმა (სამსახური) უზრუნველყოს საჯარო

სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების პროექტის მომზადება და მისი საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 1 ივნისამდე დამტკიცების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 6. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების საერთაშორისო ცენტრს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ქონება გადაეცეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7

1. დადგენილება, გარდა მე-5 მუხლისა, ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივნისიდან.

2. დადგენილების მე-5 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი